# GIG ENERGY

ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია
Georgian Investment Group Energy

№06/23
30.01.2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია"-ს (ს/ნ 205256177) წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობი"-ს გაყვანასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აპრილის №2-247 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ასევე, 2022 წლის მაისის 30 გაცემულია „შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას" წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობის" ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" გარემოზე ზემოქმედების შეფასების არ დაქვემდებარების ბრძანება N 118/ს (30/05/2022).

ეგხ-ს ხაზის მშენებლობის პერიოდში N62 ანძის განთავსების არეალის სიახლოვეს დაფიქსირდა ძველი შენობა-ნაგებობა.

N62 ანძის ადგილმდებარეობა უშუალოდ მოქცეულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური დაცვის ზონაში, შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ანძის განთავსების ადგილის დაცვის ზონის ფარგლებს გარეთ გატანის.

აღნიშნული ცვლილებამ გამოიწვია:

- N62 და N60 ანძების განთავსების ადგილის გადაადგილება, კერძოდ N60 ანძა გადაადგილდა არსებული ბუფერში, ხოლო უშუალოდ N62 ანძა გადავიდა ძველი ბუფერის გარეთ.
- ეგხ-ს N62 და N60 ანძების ახალ ადგილზე განთავსებამ გამოიწვია ბუფერის მერიდიანის დაკორექტირება, კერძოდ ბუფერი მერიდიანი შეიცვალა N59 ანძიდან N63 ანძამდე.

აღსანიშნავია, რომ ელექტროგადამცემი ხაზის სხვა ტექნიკური პარამეტრების ცვლილება არ იგეგმება.

გარემოს ეროვნული სააგენტო
31.01.2023
№ 647

იმის გათვალისწინებით, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, წარმოგიდგენთ „წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კვ-იანი საჰაერო ეგხ „ხობის"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიშს" და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

<u>დანართები:</u>

1. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კვ-იანი საჰაერო ეგხ „ხობის"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი და ელ.ვერსია).
2. Shp ფაილები - ელ.ვერსია.
3. ანძისა და არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის („მამუკიაშ ჯიხა") ურთიერთთავსებადობის ექსპერტიზა.
4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს პასუხი (თანხმობა) 17-2640.

პატივისცემით,
გალაქტიონ ბუაძე

დირექტორი

GIG ENERGY
205256177
ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია
Georgian Investment Group Energy